თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6176827

ნომერი: AR1928890

თარიღი : 17.10.2022

გაცემის თარიღი : 24.10.2022

გაცნობის თარიღი : 24.10.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბოხუა პ/ნ 01006001519
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 19 ბ. 41

ორგანიზაცია:

- შპს "მაზა" კოდი: 401987374

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 ოქტომბერს №AR1928890 განცხადებით მომართა ზაზა ბოხუამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079618 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079618 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №21-ში მდებარე №01.72.14.014.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 12 აგვისტოს 2025 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079618 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას მშენებლობის ხანგრძლივობის მითითების ნაწილში და ასევე, მშენებლობის ორგანიზებისა და კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლებას წარმოდგენილით. კერძოდ, აღნიშნავს რომ მშენებლობის ვადა უნდა განისაზღვროს 48 თვით ნაცვლად 36 თვისა.
სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №AR1898444 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურმა იხელმძღვანელა №AR1898444 განცხადებაზე წარმოდგენილი 36 თვიანი კალენდარული გრაფიკით და მშენებლობის ვადა დაფიქსირებულ იქნა აღნიშნული ვადით (2022 წლის 12 აგვისტოდან 2025 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით). რაც შეეხება, წინამდებარე 2022 წლის 17 ოქტომბრის №AR1928890 განცხადებაზე წარმოდგენილ 48 თვიან კალენდარულ გრაფიკს, აღნიშნული არ არის შესაბამისობაში სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №AR1898444 განცხადებაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079618 ბრძანებაში, მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით, ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
დამატებით გაცნობებთ, რომ თუ გსურთ მშენებლობის ვადის ცვლილება განცხადება შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.tas.ge), შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები - მშენებლობის ნებართვა - საცხოვრებელი ობიექტები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში აირჩიოთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ხოლო ქვექმედებებში - ვადაგაუსვლელი და ატვირთოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.